ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 208. კვირა, 20 სექტემბერი 1909 წ. დამატების № 37.

უეცარი ტალღა.

დრამა ოთხ მოქმედებად.

მოქმედება მესამე.

(შემდეგი*)

ოთახიდან გამოდის მეორე უცნობი. პირველიც წამოდგება. რაღაზედაც ჩურჩულობენ და მიდიან ცალ-ცალკე ზევით. ჩამოდის ლელა. წყნარის ღიმილით მიდის არჩილის ოთახში და წამოწვება ტახტზე. ჩამოდის არჩილიცა და მიდის ლელასკენ.

ლელა. არჩილ! (წამოჯდება; ბავშვივით დაიწყებს რბილ ტახტზე ქანაობას და თანაც სასიხარულო დაქუცით უჩვენებს არჩილს თავის გვერდზე. სიმდერით) „ახლო მომიჯექ, ჩემო ლამაზო!...“

არჩ. არ გაწყენინებ, ჩემო მალხაზო! (მოუჯდება ლელას გვერდზე და ჩაფიქრდება)

ლელა. (გაუმაძღარის სიხარულით ჩასტქერებია არჩილს სახეში) ნეტავ რომელ მხარეს დაფრინავს ეხლა არჩილის ოცნება!

არჩ. იმ მხარეს, სადაც პირველად ჩაიყარა ჩვენი ტრფობის საძირკველი.

ლელა. ფიქრებით მაინც კიდევ ვერ განშორებიხარ იქაურობას, ჰა?

არჩ. ნათლად წარმომიდგა თვალწინ, თუ ბიძაჩემი როგორ აღაპყრობს ხოლმე ცისკენ თავის მთრთოლვარე ხელებს და იქ გულმოდგინედ შეჰღაღადებს თავის მეუფეს, რომ მოგვანიჭოს ჩვენ ტკბილი ბედნიერება და სიხარული და თან იმის დამჭკნარ სახეზე წყნარად, ჩუმად ჩამოგოგმანობს მოხუცი თვალებიდან ლოცვითა და ვედრებით მოწყვეტილი ცრემლი და ალბობს მის თოვლისავით გაპენტილ წვერ-ულვაშს.

ლელა. მარტო იმისი ლოცვაც კი გვეყოფა ცხოვრებაში ყველა უბედურების თავიდან ასაცილებლად.

არჩ. ჩემო მალხაზო! ჩვენ სიყვარულს ძლიერი ფრთები აქვს; ის ისე მაღლა აგვაფრენს და გადაგვაცილებს ყოველგვარ უბედურებას, რომ თვალითაც კი ვერ მოვასწრებთ იმათ დანახვას.

ლელა. მართალია მართალი! ჩვენ სიყვარულს არწივის ფრთები აქვს, მასავით ძლიერი, მასავით სწრაფი...

არჩ. მაგრამ... დამავიწყდა რომ უბედურობამ ისრის სროლაც იცის კარგად და ისიც ძალიან შორს. ვაი თუ მან თავის მოშხამულ ისრით სწორედ მაშინ ჩააკეცინოს ფრთები ჩვენ სიყვარულს, როცა ის ყველაზე მაღლა იქნება აფრენილი!...

ლელა. ახ, არჩილ! რა საჭიროა ეგეთი შავი ფიქრები!

არჩ. საოცარია! ოცნებებს თითქოს არაფერი საზღვრები არა აქვთო, ისე თავისუფლად გადასტოპავ! ერთი მხრიდან მეორეში.

მაროკოს ტახტის მაძიებელი როგი გალიაში.

როგიმ ომი აუტეხა მაროკოს ეხლანდელ სულთანს მულაი-გაფიდს. უნდოდა სამეფო ტახტი დაეჭირა. მულაი-გაფიდმა დაამარცხა, გალიაში ჩაასმევინა და ისე მოაყვანინა. მერე როგი ლომებს გადაუგდო და სულ დააფლეთინა.

ლელა. მე არ გაგიშვებ მოსცილდე ოცნების იმ კუთხეს, სადაც ყოველის მხრით სიხარულის და სიამის წყარო ჩამოურბის ჩვენ სიყვარულს და თან ია და ვარდი აფრქვევდნენ მასზედ თავიანთ მომხიბვლელ სურნელებას. ჩვენც მოვუსხდეთ გვერდში ჩვენ სიყვარულს და გავუხსნათ გული მის ნაზ სიოს, რომელიც მოაქროლებს ჩვენსკენ სიყვარულზე მოკრეფილ შვებასა და ნეტარებას, კარგი?

*) იხ. სურათებიანი დამატება № 36. ამ დამატებაზე შეცდომით ეწერა 6 აგვისტო. უნდა იყოს 13 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩ. კარგი, ჩემო მტრედო, კარგი! ვინ არ გამოჰყვება შენს მოწოდებას სიყვარულის წალკოტში, ვინ?

ლელა. ჩემი ხმა მხოლოდ შენ მოგიწოდებს, სხვა არავისა.

საერთო ოთახში ჩამოდის მიხეილი. დაჯდება და კითხულობს გაზეთს.

არჩ. ო, სიყვარულო! ვინ უწყის რამდენ ნიჭს, რამდენ შემოქმედებას შეუსხავს ხორცი შენის ტრფიალებით! რამდენი დიადი საქმე მომხდარა შენ ფართე კალთებ ქვეშ! რამდენის სიცოცხლე გაფურჩქნულა შენის ტრფობით და რამდენისა დამჭკნარა!... მეც შენ გეკუთვნი ეხლა! წამიყვა, გადამაფრინე შენს სამფლობელოში და იქ ან ახლად ააყვავე ჩემი სიცოცხლე ან ისე დააჭკნე, გაახმე, რომ პირველ სიოს დაბერვაზევე მტვრად იქცეს ჰაერში!.. მე უკვე დაგემორჩილე შენ! მხოლოდ სუსტნი არ ემორჩილებიან შენს ძლიერებას!...

ლელა. მეც შენზე წინად დაგემორჩილე! მეც დავემორჩილე! მე ეხლა ნათლადა მაქვს წარმოდგენილი, თუ სიყვარულის ბრძანებით როგორ ნაზად ეხებიან ჩემი თითები სიმებს, როგორ მსუბუქად ამოსრიალებს ყელიდან ტკბილი ხმა და ამ ჟღერაზე, ამ ტკბილ ხმის ტალღებზე თამაშით შენი ნიჭი როგორა ქსოვს თავდავიწყებით ახალ-ახალ სილამაზეს და ათას ფერათა ჰღებავს მათ თავის შემოქმედებით.

ნეთს, და გულზე შხამიანი ისარივით მომხვდა ეს შენ-სარება.

ლელა. ეჰ, მეცა ვსთქვი, ისეთი რა იყო მეთქი! ეგ რა ვუყოთ! წელან აკი შენ თვითონვე იძახდი, რომ ფიქრებსა და ოცნებებს არაფერი სამზღვრები არა აქვთო, ისე თავისუფლათ გადასტოპავ ერთი მხარედან მეორეშიო? (არჩილ! კიდევ გაჟურჟოჯებს, ბირქვე დაემხობა ბალიშზე) რა გემართება არჩილ!?..

არჩ. რა უბედურათ შემომეხვივნენ ეს შავი ფიქრები! ეხლა მომაგონდა კიდევ ერთი წიგნი „საიდუმლოებათა სამეფო“, სადაც ბევრი მაგალითია ჩამოთვლილი, როცა წინასწარ გრძნობენ ხოლმე რამე უბედურებას, და მართლა რიღაცის წინასწარ გრძნობათ მომეჩვენენ ფრანჩესკა და პაოლოსთან შედარება.

ლელა. ეხ, ჩემო სიხარულო! მეც ლამის ხასიათი გამიფუჭო მაგ შენი შავი ფიქრებით...

არჩ. შენ ნურაფერს ნუ იფიქრებ, ლელიკო! ეს, მემგონი იმისი ბრალია, რომ წუხელის თითქმის სულ არა მძინებია და ნერვები ცოტა უწესოდ მოქმედობენ.

ლელა. ეხლა დაიძინე, გენაცვალე!

არჩ. მაინც ისე მოვსწყდი ერთბაშად, რომ საშინლად მეძინება.

ლელა. ჰო, და მაშ დაიძინე ბარემ! (არჩილი გაასწორებს ბალიშსა და დაიძინებს. ლელა (მზრუნველობით გაუსწორებს ბალიშს. მერე დაჰხედავს სიყვარულით და გამოდის ფრთხილად. მადის მიხეილისკენ) თქვენ აქა ყოფილხართ? ახალი ამბავი არის რამე?



დირიჟაბლი „რეპუბლიკ“.

ეს ჰაერში მფრინავი დირიჟაბლი საფრანგეთის მთავრობას ეკუთვნოდა. იგი საუკეთესო დირიჟაბლი იყო, მაგრამ ამას წინად, ფრენის დროს, უბედურება შეემთხვა, ჩამოვარდა და დაიმსხვრა. დაიღუპა ხუთი კაცი. ამ ამბავმა ძალზე დააღონა მთელი საფრანგეთი. გამოაცხადეს ხელისმოწერა ახალ დირიჟაბლის გასაკეთებლად.

მიხ. ეს ხუთი დღის გაზეთია. ისე რომ ახალი ამბავი გინდაც ყოფილიყო, აქამდის დაძველდებოდა.

ლელა. (მოუსვენრობა ეტუობა, თითქოს იმისი გრძნობა და გონება არჩილთან დარჩაო) ნეტავი თუ თქვენ ქალსაც ისე ძლიერ უყვარხართ, როგორც თქვენ გიყვართ ის!

მიხ. აბა, ისე მარტო ჩემ სიყვარულს რა ფასი ექნებოდა, თუ იმასაც არ ვეყვარებოდი? (სიხარულით შესცქერიან ლელას)

ლელა. (ცოტახანს კიდევ ზის მოუსვენრად. მერე ვედარ ითმენს და მიდის ისევ არჩილის ოთახში. წუნარად მივა. რამდენიმე ხანს სიყვარულით დასცქერის არჩილს, მერე ჯდება იმის გვერდზე) რა ხელათ დასძინებია!... (ტკბილად, ნაზათ განაგრძობს) დაიძინე, დაისვენე, ჩემო ანგელოზო! ჩემო სიცოცხლის ცისკარო!... შენ იძინე, მე კი ჩემის გრძნობით ვარსკვლავებს მოვსწყვეტ სილამაზეს, ზღვას

არჩ. მე ველარ წარმომიდგენია, თუ რასა ჰგავდა აქამდის ჩემი სიცოცხლე უსიყვარულოდ.

ლელა. (უფრო ნეტარებით ეკრობა მკერდზე) მეც ასე მგონია მთელი ჩემი წარსული სიცოცხლე ფუჭ დროსა და ადგილს წარმოადგენს და არა ნამდვილ ცხოვრებას.

არჩ. ეხლა სიყვარულმა გაამსო ორთავეს სიცოცხლე...

ლელა. ....ორივეს ბედნიერება და სიხარული... (არჩილი ერთბაშად იტაცებს თავზე ხელებს და მწარეთ დაიდრეკება) რა იყო არჩილ?

არჩ. ااااჰ! (გაჟურჟოჯებს ტანში)

ლელა. არჩილ! რა მოგივიდა? რა ამბავია?...

არჩ. (თითქოს დაწუნარდაო მოუხვევა ლელას) ნუ გეშინიან ლელა! ისეთი არაფერია!

ლელა. როგორ არაფერია! არჩილ, გენაცვალე! რა იყო? ავად ხომ არა ხარ?

არჩ. ერთმა აზრმა დამიარა თავში და იმან შემაშინა.

ლელა. ისეთი რა იყო განა?

არჩ. ჩვენმა ხვევნამა და სიხარულმა მომაგონა ფრანჩესკა და პაოლო, უკანასკნელად რომ ესიყვარულებიან ერთმანეთს, და გულზე შხამიანი ისარივით მომხვდა ეს შენ-სარება.

ლელა. ეჰ, მეცა ვსთქვი, ისეთი რა იყო მეთქი! ეგ რა ვუყოთ! წელან აკი შენ თვითონვე იძახდი, რომ ფიქრებსა და ოცნებებს არაფერი სამზღვრები არა აქვთო, ისე თავისუფლათ გადასტოპავ ერთი მხარედან მეორეშიო? (არჩილ! კიდევ გაჟურჟოჯებს, ბირქვე დაემხობა ბალიშზე) რა გემართება არჩილ!?..

არჩ. რა უბედურათ შემომეხვივნენ ეს შავი ფიქრები! ეხლა მომაგონდა კიდევ ერთი წიგნი „საიდუმლოებათა სამეფო“, სადაც ბევრი მაგალითია ჩამოთვლილი, როცა წინასწარ გრძნობენ ხოლმე რამე უბედურებას, და მართლა რიღაცის წინასწარ გრძნობათ მომეჩვენენ ფრანჩესკა და პაოლოსთან შედარება.

ლელა. ეხ, ჩემო სიხარულო! მეც ლამის ხასიათი გამიფუჭო მაგ შენი შავი ფიქრებით...

არჩ. შენ ნურაფერს ნუ იფიქრებ, ლელიკო! ეს, მემგონი იმისი ბრალია, რომ წუხელის თითქმის სულ არა მძინებია და ნერვები ცოტა უწესოდ მოქმედობენ.

ლელა. ეხლა დაიძინე, გენაცვალე!

არჩ. მაინც ისე მოვსწყდი ერთბაშად, რომ საშინლად მეძინება.

ლელა. ჰო, და მაშ დაიძინე ბარემ! (არჩილი გაასწორებს ბალიშსა და დაიძინებს. ლელა (მზრუნველობით გაუსწორებს ბალიშს. მერე დაჰხედავს სიყვარულით და გამოდის ფრთხილად. მადის მიხეილისკენ) თქვენ აქა ყოფილხართ? ახალი ამბავი არის რამე?

მიხ. ეს ხუთი დღის გაზეთია. ისე რომ ახალი ამბავი გინდაც ყოფილიყო, აქამდის დაძველდებოდა.

ლელა. (მოუსვენრობა ეტუობა, თითქოს იმისი გრძნობა და გონება არჩილთან დარჩაო) ნეტავი თუ თქვენ ქალსაც ისე ძლიერ უყვარხართ, როგორც თქვენ გიყვართ ის!

მიხ. აბა, ისე მარტო ჩემ სიყვარულს რა ფასი ექნებოდა, თუ იმასაც არ ვეყვარებოდი? (სიხარულით შესცქერიან ლელას)

ლელა. (ცოტახანს კიდევ ზის მოუსვენრად. მერე ვედარ ითმენს და მიდის ისევ არჩილის ოთახში. წუნარად მივა. რამდენიმე ხანს სიყვარულით დასცქერის არჩილს, მერე ჯდება იმის გვერდზე) რა ხელათ დასძინებია!... (ტკბილად, ნაზათ განაგრძობს) დაიძინე, დაისვენე, ჩემო ანგელოზო! ჩემო სიცოცხლის ცისკარო!... შენ იძინე, მე კი ჩემის გრძნობით ვარსკვლავებს მოვსწყვეტ სილამაზეს, ზღვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავართმევ მღელვარებას, ყვავილებს მოვსტაცებ სურნელებას და დაგაფრქვევ ამ საყვარელ მკერდზე, რომ მათის ყნოსვითა და მზერით უფრო უკეთესად დასტკბე, დაიძინო... დაე, მორფეიმ მოგივლინოს უცხო საოცნებო სიზრმები, სადაც სიყვარული და ნეტარება, ბედნიერება და სიხარული ცელქი ჩიორებივით დაჰქროლავენ ხიდან ხეზე, ტოტიდან-ტოტზე და თავიანთ ნაზ ჭიკჭიკ-გალობით შენც ტკბილ ოცნებას გგვრიან და თავბრუს გახვევენ... იძინე ჩემო სიცოცხლევ, იძინე, ვიდრე ჩემი ათრთოლებულის ტუჩებით მოძღვნილი კოცნა არ გამოაფხიზლებს შენს ლამაზ თვალებს...

ჩრდილოეთ ოლიუსის აღმოჩენნი.



როგერტ პირი. **ფრედერიკ კუკი.**

ასეთ ტანისამოსში მოგზაურობდნენ ჩრდილოეთში.

(თანდათან უახლოვდება არჩილის სახეს. დამის შეეხოს კიდეც) იძინე, სანამდის ჩემი თვალები სიხარულის ცრემლს არ დააპკურებენ შენს ნათელ სახეს... (ის არის თავდავიწყებითა და სინაზით უნდა ჩაეკოცნოს არჩილის სახეს, რომ სწრაფად ამ დროს გაისმის უფირადი მეორე ოთახში. ზევით ბაქანზედ ალურ-ზალურია. ერთი ოთახიდან გამოვარდება ორი უცნობი, ზევიდანაც ჩამორბის პირველი უცნობი და მისწვდებიან მიხეილს რევოლვერებით ხელში)

პ. უცნ ამოიღე ექვსასი თუმანი, ჩქარა!

ლელა. (შეშინებული გამოვარდება კარში. დაინახავს თუ არა, რომ მოხუც მიხეილს დამის ახრჩობენ, თან შეშინებული, თან აბნეული გაექანება და ერთ ხელს მოჰხვევს მიხეილს) რას შვრებით, თქვე საზიზღარო უსინდისონო!

პ. უცნ. ჩქარა ფული, თორემ ეხლავე სულს დალევ! (რევოლვერს მოიმარჯვებს)

ლელა. (მისწვდება ცალი ხელით რევოლვერს და უნდა წაართვას, თან ჭყვირის) არჩილ!.. მამა!... (ამ დროს გაგვარდება ორჯერ რევოლვერი და მიხეილიცა და ლელაც დაეცემიან ძირს მომაკვდავნი. ზევიდან მეოთხე უცნობი უძახის: „ჩქარა წამოთ!“ უცნობნი გარბიან)

არჩ. რევოლვერისა და ლელას ხმაზე წამოვარდება, გიჟივით აქეთ-იქით ეცემა დაბნეული, მერე გამოვარდება კარში და დაინახავს მომაკვდავ ლელას. თავში მეხ-დაცემულივით მივარდება დრიალით) ლელა! ლელა! (კანკალით აიყვანს ხელში და დასვამს კალთაზე) მიშველეთ. ღვთისო! შალვა!

კიბეზე ჩამორბიან სვიმონი, ღვთისო, შალვა, ტიტო, რამდენიმე უცნობი და გემის მოსამსახურენი.

სვიმ. ლელა, შვილო! (გულწასული დაეცემა სკამზე)

ღვთ. ვაიმე, ღმერთო! რა მოსვლიათ! არიქა, ექიმი არავინ არის!... (ყველა დაბნეული აქეთ-იქით გარბის)

არჩ. ლელა! ჩემო სიცოცხლევ! (ზოგნი მიხეილს აყენებენ და სვამენ სკამზე. შალვა მოარბეინებს წყალს და ასხამს ლელას და სვიმონს)

ღვთ. ლელიკო! ხმა ამოიღე, გენაცვალე!

ლელა. ვაიმე... არჩილ... მომხვიე!... (არჩილი ტირილით ეხვევა მაგრა, ტიტო სკამზე ჰირქვე დამხობილი საშინლად ქვითინებს, შალვას დაპადუშია ცრემლები ჩამოსდის, ღვთისო დაბნეული ხან ერთს მისწვდება, ხან მეორეს)

არჩ. ლელა! რათ გვაობლებ?! რად გვაობლებ?!.. (მოეხვევა თავდავიწყებით. ლელა სულსა ჰღვევს არჩილის ხელში).

ფ ა რ დ ა.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე.

პირველ მოქმედების მოწყობილება. მხოლოდ არჩილის ყოფილი ოთახი თითქმის დაცარიელებულია. იქ აღარც წიგნებია, აღარც სურათები, მარტო ცარიელა ტახტი და მაგიდები სდგას.

ეკლესიის მხრიდან შემოდიან ექვთიმე და ალექსი, რომელსაც ხელში ერთი დიდი ღვთის მშობლის ხატი უჭირავს და ერთი-ორიც პატარა ხატი. შემოდიან არჩილის ოთახში.

ექვთ. აი, ამ კუთხეში დაჰკიდებ, შვილო ალექსი მაგ ხატებს (უჩვენებს ერთ კუთხეზე)

ალექ. ბარემ კანდელიც წამოგველო...

ექვთ. ჯერ ეგ გააკეთე, მერე იმასაც მოვიტანთ.

ალექ. კეთილი! (მიიდგამს სკამს და ჰკიდებს ხატებს ნელნელა)

ექვთ. ჰო, შვილო, ეხლა აქ უნდა გადმოვსახლდეთ! ხატები რომ დაჰკიდო, ეს სტოლიც მაგ კუთხეში დასდგი. მერე გამოიტან ჩემ სამლოთო წიგნებს და ზედ დაალაგებ. სალამოზე ლოგინიც გადმომიტანე, დღეს ბარემ აქ დავიძინებ, შვილო!

ალექ. ძალიან კარგი, მამაო!

შემოდის მათთან გრიგოლი.

გრიგ. ეგ რას აკეთებთ, მამაო ილუმენო?

ექვთ. აქ გადმოსახლება გადავსწყვიტე.

გრიგ. არჩილის მაგიერ იმის ოთახით უნდა სტკბებოდეთ ეხლა?

ექვთ. ჰო! ვერ წარმოიდგენთ, მამაო, როგორ მოწყენილადა ვგრძნობ თავსა უიმისოდ.

გრიგ. ახლა ჩვენი იკითხეთ: რანაირად შევეჩვიეთ, როგორ შეევეთვისეთ და მერე ეგრე ერთბაშად მოგვშორდა სამუდამოდ. (ექვთიმე და გრიგოლი კამოდიან კარში და სეირნობენ)

ექვთ. მე აქამდის კიდევ ვერაფერი გამიგია, თუ რა უცნაურად შეიცვალა არჩილის ბედი? ცოტახანს წინად ისეთ ცივ უარზე იდგა, არა, ფეხს არ მოვიცვლი აქედანო და ერთიც ვნახოთ უეცრად შეუყვარდათ კიდეც ერთმანეთი და წასვლაც გადასწყვიტა.

გრიგ. ეგ სწორედ ციდან ჩამოვარდნილი ბედნიერება იყო არჩილისათვის.

ექვთ. არა, ცხადი იყო, რომ, თუ აქ დარჩებოდა სამუდამოდ, მაშინ ძალა-უნებურათ იმ ქვეყნიურ ცხოვრებას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან უნდა შეეწყვიტა კავშირი. თუ მასთან არ შესწყვეტდა კავშირს და მაშინ ადრე თუ გვიან, ისევ უკან უნდა გადასახლებულიყო.

გრიგ. ერთი რამ მაკვირვებს. მწერლები საერთოდ საშინელი თავმოყვარენი და სახელის მაძიებელნი არიან, არჩილი კი თითქმის სავსებით მოკლებული იყო ასეთ თვისებას.

ექვთ. არჩილი? ის განხორციელებული სიწმინდავე და უანგარობაა.

ე. ლეფევრი.

ლეფევრი თავის ჰაერში მფრინავ მონოპლანით ამას წინად დაიღუპა.

გრიგ. ამასთან, როგორც ამობენ, არჩილს კარგი სახელი ჰქონია გავარდნილი ხალხში და მიკვირს, როგორ შეუძლიან არ შეუშვიროს თავი, როცა მასზედ ხალხის ხელით სცვივიან დაფნის გვირგვინები.

ექვთ. იმიტომ, რომ ის უდაფნისგვირგვინოდ უფრო თავისუფლად და ამაყადა ჰგრძნობს თავს. როცა ხალხი ვისმეს ადგამს დაფნის გვირგვინს, მან უეჭველად თავიც უნდა დაჰხაროს ხალხის წინაშე, არჩილს კი ეგრე ადვილად არ უყვარს თავის დახრა არავის წინ.

გრიგ. დაფნის გვირგვინს ერიდება და სიყვარულის ბორკილებით კი შეიბოჭა თავი.

ექვთ. ეგ რა ვუყოთ! თუ კი კაცი ბედნიერებას და სიხარულსა ჰგრძნობს ამ ბორკილებში, ვის შეუძლიან დაუშალოს, რომ არ შეიბოჭოს მათით!

გრიგ. ეჰ, ღმერთმა ისეთი ბედნიერება მიანიჭოს, როგორც აბრამსა და სარას.

ექვთ. კიდევ ვმადლობ უფალს, რომ ისეთ კარგ ხალხში ჩავარდა. სული და გული არიან ყველანი დიდით პატარამდის.

ალექსი გამოდის. ნელ-ნელა ზიდავს წიგნებს ერთი ოთახიდან მეორეში.

გრიგ. ოო, მეტად პატიოსანი ხალხია, მეტად! (სიჩუმე)

ექვთ. უცნაურად მოფრინდნენ ერთბაშად, თან მოიტანეს სიცოცხლე და სიხარული; მერე არჩილიც მომტაცეს, ჩემთვის ეს ერთ-ერთი ამ ქვეყნიერი სიხარული, და თვითონაც გაჰქრნენ ისევე უცნაურად, როგორც გამოჩნდნენ...

გრიგ. ალბად ასეთი იყო არჩილის ბედი. ვის შეუძლიან შესცვალოს ღვთის განგება!

ექვთ. არავის, ჩემო გრიგოლ, არავის, მარტოდენ ღვთისა...

ნელ-ნელა გამოდიან სხვა ბერები, ჩამოსხდებიან სკამზე და საუბრობენ ჩუმად.

ალექ. (მიაქვს ოთახში იდდიით სავსე წიგნები) მორჩა, მამაო, იღუმენ! ამის მეტი აღარ არის!

ექვთ. კარგი... აბა, ვნახო ერთი, როგორ დაალაგე. (შედის და ათვალიერებს) ჰო, მადლობელი ვარ, შვილო ალექსი! თუ მე ვერ მოვესწრები, სამაგიეროდ ღმერთი გადაგიხდის პატივისცემას.

ალექ. ასეთი პატივისცემა დასაფასებელი არც კია, მამაო, იღუმენ!

ექვთ. არა, შვილო, ყველა კეთილ საქმეს აქვს ფასი. რაც გინდა მცირე იყოს იგი. ათვალიერებს ზოგიერთ წიგნებს)

ალექ. ნეტავი ვიცოდე, არჩილი სად არის ეხლა!

ექვთ. ეხლა მისულები იქნებიან კიდეც ბინაზე. დღეს უკვე სამი დღე გახდა, რაც წავიდნენ.

ალექ. ნეტავი მალ-მალ მაინც გვნახავდნენ ხოლმე და სავსებით არ დაგვივიწყონ.

ექვთ. არ დაგვივიწყებენ, ნუ გეშინიან. ბევრიც რომ უნდოდეთ, მაინც ვერ დაივიწყებენ ამ ადგილს, რადგან აქაურ ორი დღის ერთად ცხოვრებას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის, რომ მუდამ ნეტარსაგონებლად ექნებათ აქ გატარებული დრო მთელ სიცოცხლეში. (ამ დროს ერთი ბერი დაიწყებს გალობას, მერე სხვებიც ბანს აძლევენ; ექვთიმე და ალექსიც გამოდიან და ეგეღანი ეოთად არიან) ცოტა კიდევ განაგრძეთ, ცოტა კიდევ!

(დასასრული იქნება).

ლევ. მეტრეველი.

დანიელი მოგზაური და ჟურნალისტი პატურსანი.

ამ მოგზაურმა მოიარა მთელი ევროპა, რუსეთის აზია, ოსმალეთი, სპარსეთი და სხვა ქვეყნები. რევოლიუციის დროს კავკასიაში იყო და მთელი წიგნიც გამოსცა მოძრაობაზე. ამ წიგნში ქართველებსაც ეხება. ეხლახან ტფილისში იყო და ამ ერთი კვირის წინად სპარსეთს წავიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე ელექტრო-მბეჭდავი გ. დ. კიკნაძისა, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.